*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

**ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რევოლუციის შესახვევისთვის ალექსანდრე მანაგაძის VI ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, რევოლუციის შესახვევს მიენიჭოს ალექსანდრე მანაგაძის VI ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X:481642 Y:4630519
X:481619 Y:4630460
X:481552 Y:4630453
X:481354 Y:4630338
X:481332 Y:4630335
X:481318 Y:4630326
X:481282 Y:4630337
N
1:1,500

გლდანის რაიონის გამგებელს

ბატონ ლევან ნაროუშვილს

განმც. ნეილა ქომოცაშვილი

მცხოვრ. რევოლუციის ქ. № 11ა

პ/N 01004003276

ტელ 599156158

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

რევოლუციის ქუჩას შეეცვალა სახელი და ამჟამად არის ზაქიაშვილის ქუჩა. ჩვენი რევოლუციის ქუჩ N11 და N11ა დარჩა ისევ ძველებური მისამართით.

ვთხოვთ გვიშუამდგომლოთ შესაბამის სამსახურებთან, რათა მოხდეს დამისამართება.

განმც: [signature]

თარიღი: 28.03.2022

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032213628**
თარიღი: **16/05/2022**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის გიორგი აბუთიძის 2022 წლის 02 მაისი საქმე #15/032212253-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე ლეილა ქშუტაშვილის მიმართვის საფუძველზე ითხოვს რევოლუციის შესახვევისთვის სახელის ცვლილებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზარბეგ ბერიაშვილის შესახვევის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **14-01221221888**
თარიღი: **02/05/2022**
პინი: **2564**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ასლი:

**ადრესატი:** ლეილა ქშუტაშვილი
**პირადი ნომერი:** 01004003276
**მისამართი:** ქ. თბილისი რევოლუციის შეს. N 11ა

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

თავმჯდომარეს

ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

გეგზავნებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში შემოსული მოქ. ლეილა ქშუტაშვილის განცხადება (N19/0122087165-34; 28.03.2022წ.). გთხოვთ, განიხილოთ კომპეტენციის ფარგლებში და აღმოუჩინოთ მოქალაქეს შესაბამისი დახმარება. აგრეთვე, აღნიშნული შესახვევის სახელწოდების ცვლილების შემთხვევაში ჩვენს სამსახურს მოაწოდოთ ინფორმაცია.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი აბუთიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221363257**
თარიღი: **16/05/2022**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 16.05.2022 წლის #03-032213628 (16.05.2022წ. #14-01221361000-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი